



Humanrights.ge

პორტალი ადამიანის უფლებების შესახებ

ძიება

გაფართოებული ძიება



მთავარი სიახლეები გამოცემები კანონმდებლობა ანგარიშები HRIDC-ს შესახებ ბმულები კონტაქტი [Text Version](#)

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების განცხადება

22.09.2011

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციების განცხადება აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები შეშფოთებას გამოთქვამენ სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ 2011 წლის 15 სექტემბრის სადამოს ქუთაისის მეტალურგიული ქარხანა „ჰერკულუსის“ გაფიცული და მოშიშშილე პროფკავშირის წევრების უკანონო დარბევისა და დაკავების ფაქტების გამო.

აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრის, გაერთიანებული პროფკავშირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, საწარმო „ჰერკულუსის“ მუშებმა გამოიყენეს საქართველოს კონსტიტუციის 33-მუხლით გარანტირებული გაფიცვის უფლება ქარხანაში არსებული გაუსაძლისი შრომითი პირობებისა და პროფკავშირული საქმიანობის გამო უკანონოდ განთავისუფლებული 17 კოლეგის სამუშაოზე ადგენის მოთხოვნით. სრულმასშტაბიან გაფიცვას, რომელიც დაიწყო 13 სექტემბრს წინ უძღოდა 2 სექტემბრის გამაფრთხილებელი გაფიცვა.

საგაფიცო პროცედურები განხორციელებული იქნა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ მიღებული გაფიცვის დაშლის გადაწყვეტილება კანონიერ საფუძველს იყო მოკლებული.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრი ორგანიზაციები გმობენ სამართალდამცავი ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს და მიაჩნიათ, რომ ხელყოფილი იქნა გაფიცვის, გაერთიანების თავისუფლების, კოლექტიური მოლაპარაკების წარმოების, შეკრების, შრომის თავისუფლების ფუნდამენტური უფლებები. აღნიშნული ქმედება ასევე შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად დანაშაულთა ნიშნებს, როგორცაა გაფიცვის უფლების ხელყოფა, თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფა, პროფკავშირული კუთვნილების გამო დევნა და დისკრიმინაცია.

შესაბამისად, მოვუწოდებთ:

საქართველოს ხელისუფლებას - არ დაუშვას დამოუკიდებელი ორგანიზაციის საქმიანობაში უხეში ჩარევა და დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღნიშნული ფაქტების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიება კანონდამრღვევი პირების მიმართ ადეკვატური სანქციების გატარების მიზნით.

საქართველოში აკრედიტებულ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს - დაინტერესდნენ ზემოაღნიშნულ ფაქტებით და შესაბამისი შეფასება მისცენ დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებრივი ინსტიტუციის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს.

ხელმოწერი ორგანიზაციები:

1. ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის;
2. ახალგაზრდული ალტერნატივა;
3. არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია “სამოქალაქო განვითარებისათვის”
4. მწვანე ალტერნატივა;
5. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო-საქართველო;
6. ადამიანის უფლებათა ცენტრი;
7. კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი;
8. ინვალიდ ქალთა და ინვალიდ ბავშვთა დედათა ასოციაცია “დეა”;
9. კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი;

სხვა სიახლეები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ სახალხო დამცველის რეკომენდაცია გაითვალისწინა

ხელვაჩაურის გამგებელი და მისი მოადგილე დააკავეს

საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა საინიციატივო ჯგუფმა სასამართლოს მიმართა

აგრარული უნივერსიტეტის საკითხს სახალხო დამცველი დამოუკიდებლად შეისწავლის

პაატა ზაქარეიშვილის თქმით, პრეზიდენტი რეინტეგრაციის სამინისტროს სახელწოდების შეცვლას აპირებებს

[არქივი](#)



www.apsni.org

ბლოგი

ქართული პოლიტიკური რეკლამის ისტორიული...



2005 წელს ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სატელევიზიო პოლიტიკურ რეკლამებს ამომრჩევლის ნების ფორმირებაზე მხოლოდ ხანმოკლე (ასე - ორ კვირის) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

[ერკლად...](#)

წინასაარჩევნო სარეკლამო დაპირებები...

პოლიტიკური რეკლამების ხარისხი და...

[არქივი](#)

რედაქტორის აზრი

ადამიანის უფლებათა ცენტრი მაღალჩინოსნების...



ადამიანის უფლებათა ცენტრი იწყებს ახალი პროექტის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც, ცენტრის იურისტები და ჟურნალისტები ყოფილი მაღალჩინოსნების სასამართლო პროცესებს მონიტორინგს გაუწევენ.

[ერკლად...](#)

საერთაშორისო ზეწოლის შედეგად სახელმწიფო...

ავვისტოს ომი - ვინ...

- 10. საზოგადოებრივი პოლიტიკის ინსტიტუტი;
 - 11. ეკოლოგიური სამართლის ცენტრი;
 - 12. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი – კავკასიური სახლი;
 - 13. ფონდი ღია საზოგადოება – საქართველო;
 - 14. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
 - 15. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
 - 16. “საზოგადოებრივი დამცველი”;
 - 17. კავშირი “42-ე მუხლი”;
 - 18. ასოციაცია “ელკანა”;
 - 19. ენერგოეფექტურობის ფონდი;
 - 20. მრავალეროვანი საქართველო;
 - 21. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები;
 - 22. ლევან მიქელაძის ფონდი;
 - 23. ევროპული ინტეგრაციის ფორუმი;
 - 24. საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო;
 - 25. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი;
 - 26. ჯანმრთელი სამყარო
- 22 სექტემბერი, 2011 წ.
თბილისი, საქართველო

გამოკითხვა

თქვენი აზრით, პარლამენტის მიერ ცოტა ხნის წინ გათავისუფლებული პოლიტიკატიმრები იმსახურებდნენ თუ არა განთავისუფლებას?

- უნდა გაეთავისუფლებინათ
- არ უნდა გაეთავისუფლებინათ
- მხოლოდ ნაწილი უნდა გაეთავისუფლებინათ
- მიჭირს პასუხის გაცემა

წინ

შედეგები არქივი



თემები

ბავშვები	ჯანდაცვა
ქალები	კორუფცია
მართლმსაჯულება	არჩევნები
ლტოლვილები / დევნილები	განათლება
უმცირესობები	პატიმრები
მედია	რელიგია
ჯარი	სხვა

<< უკან დაბრუნება



სახელი: Moon
2011-11-09 18:14

Economies are in dire straits, but I can count on this!

სახელი: Elida
2011-11-09 15:44

Four score and seven minutes ago, I read a sweet article. Lol tnhkas

დატოვეთ თქვენი კომენტარი

თქვენი სახელი:

თქვენი კომენტარი:

ქართულად

დამცავი კოდი: 0478c0

გაგზავნა

კატეგორიები

ჟურნალისტური მოკვლევა	ინტერვიუ
სტატია	უცხოური მედია საქართველოს შესახებ
რეპორტაჟი	რედაქტორის აზრი
ანალიზი	პოზიცია
ფოტო რეპორტაჟი	მკითხველის აზრი
ექსკლუზივი	ბლოგი